



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 2
03/01/2019

2-06-4-201901031511



**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო
ნუსხაში შეტანილი სოფ. ალპანაში მდებარე ყოფილი საერთო საცხოვრებელი სახლის
ნანგრევების და მასზე დამაგრებული 706 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.14.28.005) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას
საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
115 -ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №
669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და
მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო
საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და
ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის
შესაბამისად და შ.პ.ს „იმერ-აუდიტის“ დირექტორ-შემფასებლის თ. უგლავას 2018 წლის 10
სექტემბრის 04-17 შეფასების ანგარიშის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანაში მდებარე ყოფილი საერთო საცხოვრებელი სახლის ნანგრევების და მასზე დამაგრებული 706 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.14.28.005) ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 3530 ლარის ოდენობით.
2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო